პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 169
(7230)

2
1982 წ.
სექტემბერი,
ხუთშაბათი.
ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

გუშინ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის ეზოში გაიმართა ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (ზემოთ) პირველკურსელებს მიესალმება მეოთხეკურსელი გ. მაჭარაშვილი; ახალი სასწავლო წლის დასაწყისადმი მიძღვნილი მიტინგი; (ქვემოთ) კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

...და ზარი კვლავ გვიხმობს გაკვეთილებზე

საქართველოს ყოველი მესამე მცხოვრები პირველ სექტემბერს გაეშურა ლაშქრობაში ცოდნისათვის — სკოლებსა და ტექნიკუმებში, პროფესიულ-ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში. ახალი სასწავლო წლის დაწყება, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია. მას ელოდნენ ყოველ ოჯახში, სადაც კი გამოჩნდა დედაენა, მიღებულია ახალი ჩათვლის წიგნაკი, ყოველ კოლექტივში, რომელმაც ახალგაზრდობა გაგზავნა სასწავლებლად. შემთხვევით როდი დაამშვენეს ქალაქებისა და სოფლების შენობები, ქუჩები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ნაირფერმა ტრანსპარანტებმა წარწერით „გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!".

ახალი 1982/83 სასწავლო წელი მიმდინარეობს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულობის პერიოდში. საქართველოს საშუალო სკოლამ წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. გაიზარდა ისეთი კლასების რიცხვი, სადაც გაძლიერებული პროგრამით ასწავლიან ფიზიკას, მათემატიკას, ბიოლოგიას, ქიმიას, მშობლიურ და უცხო ენებს. ფართოვდება ხუთდღიანი სასწავლო კვირაზე გადასვლის ექსპერიმენტის გეოგრაფია. იზრდება იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც დასავლეთ ევროპულ ენებთან ერთად სწავლობენ ახალ ბერძნულს, თურქულს, არაბულს, სპარსულს... სულ უფრო მეტი მოსამზადებელი კლასი ჩნდება ჩვენს რესპუბლიკაში, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ქვეყანაში დაიწყო ბავშვების სწავლება ექვსი წლის ასაკიდან. ერთ-ერთი მთავარი სიახლეა საშუალო სკოლებში ახალი ბერძნული ენის შესწავლის დაწყება.

განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია წლევანდელი შემოდგომა პედაგოგების ასიათასიანი არმიისათვის — საქართველოს მასწავლებელთა მეხუთე ყრილობაზე მათ ანგარიში უნდა ჩააბარონ პარტიას სახალხო განათლების დარგში მისი დირექტივების შესრულების თაობაზე. 1 სექტემბერი ეს არის ათასზე მეტი ახალგაზრდა პედაგოგის შრომითი საქმიანობის დასაწყისიც, რომელთაგან სამი მეოთხედი ბავშვებს ასწავლის სოფლის, რაიონების სკოლებში.

მზრუნველი დედასავით ამზადებდა რესპუბლიკა თავის სკოლას მეცადინეობისათვის. არდადეგების დროს ოთხიათასივე სკოლაში ჩატარდა 1,4 მილიონი მანეთის კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. სტუმართმოყვრულად იღებენ მოსწავლეებს ახალი სკოლები. ყველა საჭირო საქონლის გაფართოებულ ასორტიმენტს სთავაზობდნენ მოსწავლეებსა და მათს მშობლებს მრავალრიცხოვანი სასკოლო ბაზრობანი. მოსწავლეებმა მიიღეს 119 დასახელების სახელმძღვანელოები, ამასთან 12 მათგანი პირველად გამოიცა. ნოლიდან მეცხრე კლასამდე მოწაფეებს სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგეს.

ახალი სასწავლო წელი საზეიმო ვითარებაში დაიწყო. დამკვიდრებული კეთილი ტრადიციისამებრ რესპუბლიკის ხელმძღვანელები ამ დღეებში ეწვივნენ სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

ამხანაგები **პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მეწთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები **ა. პ. ხაუვარელიძე, უ. კ. შარტავა, ნ. შ. ენდელაძე**, სხვა ხელმძღვანელები იყვნენ უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ესაუბრნენ მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მათს ხელმძღვანელებს. (საქინფორმი).

ცოდნის მწვერვალებისკენ

1 სექტემბერი — ახალი სასწავლო წლის პირველი დღე, ცოდნის, განათლების ზეიმი. ფართოდ გაუხსნია კარი საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტს. ღიმილი დასთამაშებთ სახეზე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს...

წლეულს ინსტიტუტში 325 აბიტურიენტი ჩაირიცხა, აქედან 100 დაუსწრებლად ისწავლის. პირველკურსელთა შორის არიან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები: აკრობატები მ. შილაკაძე და ნ. ბერიანიძე, სპორტული ტანმოვარჯიშე ა. ბაბასიანი, საკავშირო პირველობის III პრიზიორი, სამბისტი რ. მარგველანი.

წლეულს ინსტიტუტში 1981 წლის სექტემბრის დადგენილების საფუძველზე გაიხსნა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ფაკულტეტი. ასეთი ფაკულტეტი მთელს კავშირში მხოლოდ ბელორუსიის ფიზკულტურის ინსტიტუტშია. სპორტის გამოყენებით და მასობრივი სახეობების ფაკულტეტების სტუდენტთა სწავლებას მოემსახურება 20 სპორტული, საზოგადოებრივი და სპეციალური კათედრა ორი დეკანატით. სტუდენტებს მეცნიერებათა საფუძვლებს აზიარებს 8 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, 48 მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი, 71 უფროსი მასწავლებელი, 27 მასწავლებელი, 850 ლაბორანტი და ტექნიკური პერსონალი.

სტუდენტთა განკარგულებაში იქნება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო-საწვრთნელი და ტექნიკური ბაზები, ტანვარჯიშის დარბაზები, მანეჟი, კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, ხელბურთის მოედნები, მძლეოსნობის, ჭიდაობის, ძალოსნობის, კრივის დარბაზები, ტირი, ჩოგბურთის კორტები და საცურაო აუზი.

ახალ სასწავლო წელს ახალი წარმატებებით ეგებებიან ინსტიტუტის სპორტსმენები. მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს III კურსის სტუდენტმა მოფარიკავემ ვლადიმერ აფციაურმა და თავისუფა-

(დასასრული მე-2 გვ.)

ჩეხოსლოვაკია და საქართველო: „კოხტა"-2

ბორჯომში დამთავრდა მოლაპარაკება საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემათა სახელმწიფო კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქ კაუმაროვის საწარმოო გაერთიანება „ტატრაპომის" სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე.

მოლაპარაკების მიზანია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ფარგლებში უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების კომპლექსური პროგრამის ძირითად მიმართულებათა რეალიზაცია.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — საქართველოს სსრ სპეცტრანსპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. მ. ორჯონიკიძე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საკავშირო გაერთიანება „საგარეო ტექნიკის" კანტორის დირექტორი ვ. დ. სმირნოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ს. ფ. სხირტლაძე, ჩეხოსლოვაკიის მხრივ — საწარმოო გაერთიანება „ტატრაპომის" გენერალური დირექტორი პ. ჰუსაკი. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო-სავაჭრო გაერთიანების „პოლიტეხნის" კომერციული დირექტორი შ. ბაბიში, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ექსპერტი შ. ლუკოვინი.

დაიდო შეთანხმება 1983 წელს საქართველოს სსრ სპეცტრანსპორტის სახელმწიფო კომიტეტისათვის ბაკურიანის „კოხტა-2" სამთო-სათხილამურო კომპლექსის უახლესი კონსტრუქციის საბუქსირო სამგზავრო საბაგირო გზისათვის განკუთვნილი მოწყობილობის მიწოდების შესახებ.

გზის დაპროექტების, მშენებლობის, დამონტაჟების, გამართვისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის სამუშაოთა კომპლექსს შეასრულებენ საქართველოს სსრ სპეცტრანსპორტის სახელმწიფო კომიტეტის საქვეუწყებო ორგანიზაციები — სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი „ტრანსავტომატიკა", ბორჯომის მოძრავი მექანიზებული კოლონა და სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „ბაგირგზამონტაჟი" საწარმოო გაერთიანება „ტატრაპომასთან" ერთად.

„კოხტა-2"-ის სიგრძე შეადგენს 1662 მეტრს, სიჩქარე — წამში 3,9 მეტრს, გამტარუნარიანობა — საათში 900 კაცს, მოძრაობის ხანგრძლივობა 6,7 წუთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო მოლაპარაკების მონაწილენი და ესაუბრა მათ.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი ი. ვ. გურგენიძე და სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პოპრადის ოლქის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. სპიშიაკი (საქინფორმი).

ДОБРО ПОЖАЛОВАТЬ!



ცოდნის მწვერვალებისკენ

(დასასრული)

ლი სტილის მოჭიდავემ, II კურსის სტუდენტმა ლერი ხაბელოვმა. ემზარ გელაშვილი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ინგლისში ახლახან დამთავრებულ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატში. მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, II კურსის სტუდენტმა ირინა გერასიმოვამ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირ-აშშ-ის მოცურავეთა ტრადიციულ მატჩში...

...მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს, უყურებ ამ ბედნიერ სახეებს და სურვილი გიპყრობს გულთბილად მიულოცო.

სახელდახელოდ გავესაუბრეთ რამდენიმე მათგანს. პირველმა შოთა ხუბულავამ უპასუხა ჩვენს კითხვას.

— ფიზკულტურა სკოლაში შემაყვარეს ჩემმა მასწავლებლებმა თამარ ჭითანავამ და რეზო ბულიამ, ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლა ფრიადზე დავამთავრე. მისაღებ გამოცდებზე პირველ-ორ საგანში უმაღლესი შეფასებები დავიმსახურე და ექსპერიმენტით ჩავირიცხე მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ფაკულტეტზე ტურიზმის განხრით. ვეცდები შემდგომშიც კარგად ვისწავლო და მერე ჩემს მშობლიურ სკოლას დავუბრუნდე, რათა ჩემი მასწავლებლებივით ახლა მე შევაყვარო სპორტი ბიჭუნებსა და გოგონებს.

კლასიკურ ჭიდაობაში პირველთანრიგოსანს გ. გიგინეიშვილს საშუალო სკოლა ლანჩხუთში დაუმთავრებია, მისი პირველი გზამკვლევი ფიზკულტურასა და სპორტში სკოლის მასწავლებელი მ. გოგიჩაიშვილი ყოფილა. მწვრთნელი ივანე კვაჭაძე დაჰფოფინებდა თავს, რომლის ხელმძღვანელობითაც „კოლმეურნეს" პირველობაზე II ადგილი დაუკავებია. სხვა უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდაც რომ ჩაერიცხათ ჩემი თავი, მაინც ფიზკულტურის ინსტიტუტს ავირჩევდიო, ამბობს იგი.

ატილა ვიგი-კი, რომელიც ფეხბურთის სპეციალობაზე ჩაირიცხა, უნგრელია. შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას. მისი მამა — პეტერ ვიგი, თავის დროზე უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდის „შორტექსის", ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა პუშკაშის, კოჩიშის, გროშიჩისა და სხვათა გვერდით.

ატილას მამა, რომელიც საბჭოთა კავშირში მუშაობს ფირმა „იკაროსის" წარმომადგენლად, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა ერთ-ერთ ჯგუფს ჩაუდგება სათავეში.

პეტერ ვიგი ქართული ფეხბურთის დიდი ქომაგიც ყოფილა. ჩვენც დავულოცოთ ცოდნის მწვერვალებისკენ მიმავალი დიდი და ძნელი გზა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ინსტიტუტში მოვიდნენ იმ რწმენით, რომ რესპუბლიკას ჰირდება განათლებული, საქმის მცოდნე ფიზკულტურული კადრები...

იწყება ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი, რომელსაც ხსნის ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი **ა. მელია**. სტუდენტებს მიესალმებიან საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. შუბლაძე**, ინსტიტუტის პრორექტორი **რ. კალანდაძე**, პროფესორი **ა. ციბაძე**, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ბ. პაიჭაძე**, IV კურსის სტუდენტი, მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, მოჭიდავე **გ. მაჭარაშვილი**.

მიტინგს ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ნ. ენდელაძე**, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **რ. გოგლიძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპორტისა და ტურიზმის სექტორის გამგე **ო. ხიამაშვილი**.

ც. ძიმისტარიშვილი.

• • •

სურათებზე: ინსტიტუტის კლუბში; ფაკულტეტის დეკანმა დ. ჩიტაშვილმა (მარჯვნივ) და ფეხბურთის კათედრის თანამშრომელმა ა. გუკასიანმა თანაჯგუფელებს წარუდგინეს ატილა ვიგა.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

---

12 სექტემბერი — მორბენლის საკავშირო დღე

●

ხაზზეა ცხინვალი

გვესაუბრება გენადი დოგუზოვი — ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე:

— **ვფიქრობთ**, 12 სექტემბერს, მორბენლის საკავშირო დღეს, მარტო ცხინვალში სტარტზე 2 ათასამდე მორბენალი გამოვა. ამ მასობრივ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ქალაქის ყველა საწარმო, სამხატვრო და მუსიკალური სასწავლებლები, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები, პედაგოგიური ინსტიტუტი, ცხინვალის ყველა, ცამეტი საშუალო სკოლა და, ცხადია, ხუთივე სპორტსკოლა.

გულმოდგინედ ემზადებიან ამ საინტერესო სტარტისათვის ჩვენი საუკეთესო სპორტსმენებიც: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძალოსნობაში ალექსანდრე მედოევი (წლეულს ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მან გაიმარჯვა ატაცში), სპორტის ოსტატები — მოჭიდავე თენგიზ ტურიევი (1977 წელს „ვერცხლი" ჰქონდა სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატზე) და ძალოსანი ნოდარ დოგუზოვი (რესპუბლიკის ექსჩემპიონი). ერთი სიტყვით, მორბენალთა ასპარეზობაში ვიხილავთ მოჭიდავეებს, ძალოსნებს, მოკრივეებს, მოფარიკავეებს, ფეხბურთელებს...

მოსწავლეთა (მე-9 კლასამდე) შეჯიბრებები 100, 300 და 500 მეტრზე ქალაქის სტადიონზე გაიმართება, საწარმოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენები ერთმანეთს კულტურისა და დასვენების პარკში შეეჯიბრებიან 500, 1.000 და 3.000 მეტრზე რბენაში, ხოლო ყველაზე მასობრივ გარბენს (1.500 მ) ფინიში თეატრალურ მოედანზე, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრის წინ ექნება.

განვითარების სწორი გზით

„ლელოს" ინტერვიუ

ყოველწლიურად რეგბის საერთაშორისო ფედერაცია (ფირა) აწყობს მწვრთნელთა სემინარებს. სპეციალისტები მსჯელობენ, ერთმანეთს აზრს უზიარებენ რეგბის თამაშის ტაქტიკის, ტექნიკის თუ სპორტსმენთა საერთო ფიზიკური მომზადების შესახებ. წლეულს ასეთი სემინარი გაიმართა საფრანგეთის ქალაქ ბორდოში. სსრ კავშირიდან ამ სემინარზე მიიწვიეს რეგბის ორი სპეციალისტი: მოსკოვის რეგბისტთა გუნდის „სლავას" უფროსი მწვრთნელი ედუარდ ტატურიანი და თბილისის რეგბისტთა გუნდის „შევარდენის" და სსრკ პროფკავშირთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი დავით კილასონია. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა დ. კილასონიას.

● **რას გვეტყვით სემინარის შემადგენლობასა და მის დონეზე?**

— ბორდოს სემინარში მონაწილეობდა საფრანგეთის რეგბისტთა უმაღლესი და პირველი ლიგის თითქმის ყველა მწვრთნელი, მოზარდთა და ბავშვთა გუნდების კვალიფიციური მწვრთნელები, აგრეთვე, რეგბის ცნობილი რუმინელი და ესპანელი სპეციალისტები. მათ შორის გამორჩეულად მიმაჩნია სამი პიროვნება: ბენჟამენ ნინო — საფრანგეთის რეგბის ფედერაციის ტექნიკური კომისიის თავმჯდომარე, ლოპეს გომესი — ესპანეთის რეგბის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე და, რაღა თქმა უნდა, ფირა-ს პრეზიდენტი მარსელ ბიტონი. ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ სემინარის დონეზე საუბარი ალბათ ზედმეტია.

● **რა საკითხებზე იქნა გამახვილებული ყურადღება?**

— პირველყოვლისა, რეგბის ახალი ტაქტიკური და ტექნიკური ხერხების გამონახვაზე. დიდი ყურადღება დაეთმო, აგრეთვე, სპორტის ამ სახეობის სანახაობითი მხარის ამაღლებასა და რეგბისტთა ფიზიკურ მომზადებას.

● **სემინარზე გამომუშავებულ თეორიულ მოსაზრებებს ამოწმებდით თუ არა პრაქტიკულად?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ ასეთი წესით ვმუშაობდით: დილით ორ საათს ვანდომებდით თეორიულ მომზადებას, შემდეგ გავდიოდით მოედანზე და იქ ვამოწმებდით ჩვენს ნაფიქრალს. თვალსაჩინოებისათვის ვურტყამდით კარში, ვარჩევდით ტაქტიკურ ვარიანტებს, ვამუშავებდით ტექნიკის ელემენტებს, კერძოდ, როგორ უნდა ითამაშოს თავდასხმასა და თავდაცვაში შერკინებისა თუ სამი მეოთხედის მოთამაშეებმა. ეს საკითხები ირჩეოდა ძალზე დეტალურად. მაგალითად, ვარკვევდით თუ შერკინების მოთამაშეებს, განსაკუთრებით პირველი და მეორე ხაზის მოთამაშეებს სად უნდა დაედგათ ფეხი, როგორ უნდა დაეჭირათ კორპუსი მეტი სიმტკიცისა და სიმძლავრისათვის. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ მაისურზე ჩაჭიდების ნაცვლად უმჯობესია მეორე ხაზის მოთამაშეებმა შორტებზე ჩასჭიდონ ერთმანეთს ხელი, რადგან ამ წესით შერკინებისას მოთამაშეთა ბიძგის ძალას ემატება მეორე ხაზის მოთამაშეთა მკლავის ძალა, რითაც საგრძნობლად იზრდება შერკინების კინეტიკური ენერგია.

● **მწვრთნელთა მომზადების კიდევ რა საშუალებები იქნა გამოყენებული სემინარზე?**

— ლექციები, რომლებსაც, როგორც უკვე აღვნიშნე, რეგბის მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტები გვიკითხავდნენ. თითოეული ლექცია გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული დონით, ლექტორები ერკვეოდნენ ნებისმიერ საკითხში, გვიჩვენებდნენ როგორც სასწავლო, ასევე თამაშის დროს გადაღებულ ფირებს, რომლებზეც აღბეჭდილი იყო სანიმუშო ვარჯიშები და მატჩები მსოფლიოს წამყვან გუნდებსა და ცნობილ რეგბისტთა მონაწილეობით. ვნახეთ მეტად საინტერესო თამაშები. დავასახელებ უელსისა და შოტლანდიის, არგენტინისა და ირლანდიის ნაკრებთა მატჩებს. რადგან არგენტინა ვახსენეთ, უნდა ითქვას, რომ ეს ქვეყანა აქამდე არ იყო ცნობილი რეგბის ქვეყნად — მოგეხსენებათ, იქ ფეხბურთია გამეფებული. ამიტომაც ჩემთვის მოულოდნელი იყო, როცა ვიხილე მაღალი ტაქტიკის, მაღალი ტექნიკისა და ძლიერი ფიზიკური მომზადების კოლექტივი, რომელმაც ტოლი არ დაუდო ისეთ ძლიერ გუნდს, როგორიც ირლანდიის ნაკრებია. აქვე დავსძენდი, სამხრეთ ამერიკაში რეგბი ძალზე მკვიდრად იკიდებს ფეხს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ პელეს ერთადერთი ვაჟიშვილი, ედინიო, სწორედ რეგბის თამაშობს. ჩვენ, მწვრთნელებმა ჩავატარეთ ამხანაგური შეხვედრა ქალაქ ბორდოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან (ამ ინსტიტუტში რეგბის სპეციალური ფაკულტეტია გახსნილი). ეს შეხვედრა, მიუხედავად სტუდენტთა მშვენიერი გუნდის ძლიერი წინააღმდეგობისა, ჩვენი წარმატებით დამთავრდა — ჩვენი გუნდის ძირითად ბირთვს ხომ მოთამაშე მწვრთნელები შეადგენდნენ.

● **რა შეხედულების არიან ევროპელი რეგბისტები ჩვენი ქვეყნის ნაკრების, საერთოდ ჩვენი რეგბის შესახებ?**

— ჩემის აზრით, მათ მთლად ზუსტი წარმოდგენა არა აქვთ ჩვენს რეგბიზე. მიზეზი კონტაქტების, საერთაშორისო შეხვედრათა ნაკლებობაა. ევროპელებს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა რეგბისტები კარგად არიან მომზადებულნი ფიზიკურად, ტექნიკასა და ტაქტიკაში კი მოიკოჭლებენ. ჩემი აზრით, მიუხედავად ევროპული რეგბის დიდი ტრადიციებისა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში რეგბის დიდი პოპულარობის გამო მათ აქვთ მოთამაშეთა შერჩევის ფართო შესაძლებლობანი და თამაშის უთუოდ დიდი კულტურა, ეს განსხვავება ტექნიკასა და ტაქტიკაში მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს. ამის დასტურად ის ფაქტი შემიძლია მოვიყვანო, რომ შარშან ევროპის ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრებმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა კონტინენტის თოთხმეტგზის ჩემპიონთან, სახელგანთქმულ საფრანგეთის რეგბისტთა გუნდთან და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფრეს სწორედ ფრანგები ესწრაფვოდნენ და არა ჩვენი მოთამაშენი.

● **დავით, როგორც უკვე აღნიშნეთ, ევროპელები, ასე ვთქვათ, გვიწუნებენ ტაქტიკასა და ტექნიკას. რამდენადაც ვიცი, თქვენ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ტექნიკურ რეგბისტად ითვლებით და ბორდოში ორმხრივი თამაშების დროს ალბათ გქონდათ საშუალება დაგერწმუნებინათ თქვენი უცხოელი კოლეგები საწინააღმდეგოში...**

— სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, გავნაწყენდი, ჩვენი რეგბის ასეთი შეფასებით. სწორედ იმ ორმხრივი თამაშების დროს გამოვიყენე ჩემს სპორტულ არსენალში არსებული ყველა შესაძლებლობა. მე შევეჯიბრე სახელგანთქმულ ევროპელ რეგბისტებს ჯარიმისა და არეკვნით დარტყმებში და მათთვის მოულოდნელად დიდი უპირატესობით მოვუგე. ასევე ირჯებოდა ჩემი კოლეგა ედუარდ ტატურიანი, გარდა ამისა, არც თეორიულ საკითხებში დავუდეთ ტოლი ევროპელ რეგბისტებს. ვფიქრობ, ყოველივე ამან ერთგვარად შეცვალა მათი ადრინდელი შეხედულებანი. ჩვენმა ასეთმა მონდომებამ ის შედეგიც გამოიღო, რომ არაერთმა ცნობილმა მწვრთნელმა მოისურვა თავისი გუნდის ჩამოყვანა სსრ კავშირში ჩვენს რეგბისტებთან სათამაშოდ.

● **საერთოდ, როგორი დამოკიდებულება აქვთ ფრანგებს რეგბისთან?**

— რეგბი საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თამაშია. რეგბისტებს დიდ პატივს სცემენ. მაგალითად, წარსულში ცნობილი რეგბისტი, მასო, რომელიც ხუთჯერ ზედიზედ აღიარეს საფრანგეთის საუკეთესო სპორტსმენად, ნაპოლეონის ორდენის კავალერი გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ დიდ პატივს, როგორც წესი, მეცნიერების, ლიტერატურისა თუ ხელოვნების გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს მიაგებენ ხოლმე. საფრანგეთის ბევრ ქალაქში არსებობს რეგბისტთა სპეციალური კაფეები, ბორდოშიც, იქ სადაც ჩვენი სემინარი ტარდებოდა, არის ასეთი კაფე. მისი კედლები მსოფლიოს გამოჩენილ რეგბისტთა ფოტოსურათებით არის დაფარული. აქვე იკრიბებიან ვეტერანი რეგბისტები და იგონებენ გარდასულ დროთა დიადი მატჩების პერიპეტიებს. მაგიდებზე უამრავი ლიტერატურაა რეგბის შესახებ. რადგან სიტყვამ მოიტანა, აქვე დავსძენ, რომ ქართულ ენაზე ძალზე ცოტა გვაქვს ამ სახის ლიტერატურა, ქართული რეგბის ისტორიის შესაქმნელად კი ალბათ უკვე დროა საამისო მასალის მოძიება, შეგროვება და წიგნად გამოცემა. ვფიქრობ, აუცილებელია ასეთი სახის ლიტერატურის შექმნა რეგბის პოპულარიზაციის მიზნით, მით უმეტეს, რომ ახლახან გამოვიდა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ს. პავლოვის საგანგებო ბრძანება, რომელიც მიუთითებს ჩვენს ქვეყანაში რეგბის შემდგომი განვითარების აუცილებლობაზე. მომავალი წლიდან სპორტის ამ სახეობას შეიტანენ მოკავშირე რესპუბლიკების შიდა სპარტაკიადებში. გაზეთი „პრავდა" ამას წინათ იუწყებოდა, რომ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტმა მიიღო დადგენილება 1983 წლიდან ჩატარდეს შეიარაღებულ ძალთა პირველობები რეგბიში სამხედრო ოლქებს შორის. რეგბი სულ უფრო და უფრო ფართოდ ინერგება რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც. ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურის ინსტიტუტში, რექტორ არჩილ მელიას თაოსნობით გაიხსნა რეგბის სპეციალიზაცია.

● **როგორია თქვენი საერთო შთაბეჭდილება სემინარის შესახებ?**

— იქ ყოფნის დღეებში ძალზე ბევრი რამ შევიძინე, ბევრი სიახლე შევიტყვე, როგორც თამაშის, ასევე წვრთნის მხრივ, მაგრამ როცა ყოველივე შევაჯამე, ჩემდა სასიხარულოდ დავრწმუნდი, რომ რეგბის განვითარების ჩვენეული გზა ძირითადად სწორია, რაც მომავალში უთუოდ მოიტანს სასურველ შედეგებს.

●

ესაუბრა ე. გიორგაძე, საქართველოს რეგბის ფედერაციის პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

27 და 28 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული მატჩები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები:

„ტორპედო“ მ.—„დინამო“ კ. 0:1 (0:1). გადამწყვეტი გოლი ტორპედოელთა კარში 23-ე წუთზე გაიტანა ბესონოვმა.

გააფრთხილეს კიეველი ლოზინსკი.

დუბლიორები — 0:2.

„ზენიტი“—„დინამო“ მნ. 0:2 (0:0). ორივე ბურთი მასპინძელთა კარში შესვენების შემდეგ გაიტანა გურინოვიჩმა.

დუბლიორები — 2:1.

ცსკა — „ჩერნომორეცი“ 1:2 (0:2). მოსკოვის არმიელთათვის ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ოდესელთა წინააღმდეგ მათ ვერაფერი გააწყვეს. ფინკის მიერ პირველ ტაიმში გატანილ 2 გოლს ტარხანოვმა 78-ე წუთზე უპასუხა მხოლოდ ერთით.

გააფრთხილეს არმიელი სამოხინი.

დუბლიორები — 3:1.

„მეტალისტი“ — „სპარტაკი“ 1:3 (0:2). შავლოსა და შვეცოვის 2 გოლს შესვენების შემდეგ გავრილოვმა მესამეც დაუმატა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ლინკემ ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

გააფრთხილეს სპარტაკელი გავრილოვი.

მატჩს სჯიდა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადა: ა. მილჩენკო, ბ. ჩერნიახოვსკი (ორივე — სოხუმი), უ. ფურცელაძე (თბილისი).

დუბლიორები — 1:2.

„კუბანი“ — „არარატი“ 1:0 (1:0). მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა კობზევის მიერ 29-ე წუთზე გატანილმა ბურთმა.

გააფრთხილეს ერევნელი სარქისიანი და კრასნოდარელი კობზევი.

დუბლიორები — 2:3.

„დნეპრი“ — „დინამო“ მ. 3:2 (0:0). ფედორენკომ, პოგორელოვმა და ლისენკომ (პენალტი) 3 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. შემდეგ კი მოსკოველებმა შეძლეს 2 ბურთის გაქვითვა (გაზაევი, მატიუნინი).

დუბლიორები — 4:2.

„ნეფთჩი“ — „ქაირატი“ 1:0 (0:0). გადამწყვეტი ბურთი პენალტით გაიტანა ალიევმა 85-ე წუთზე.

გააფრთხილეს ბაქოელი ნამაზოვი და ალმაათელები შადიევი, ზაიცევი და ბერდიევი.

დუბლიორები — 2:0.

უმაღლესი ლიგის საუკეთესო ბომბარდირთა სიას სათავეში კვლავ უდგას ტაშკენტელი ა. იაკუბიკი, რომელმაც 16 ბურთი გაიტანა. შემდეგ მოდიან: მ. მეგრელაძე („ტორპედო“, ქუთაისი) — 14, რ. შენგელია („დინამო“, თბილისი) — 12, დ. დარჯანია („ტორპედო“, ქუთაისი) და ა. ტარხანოვი (ცსკა) — 10-10.

უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის დინამოელმა რ. შენგელიამ დონეცკში გაიტანა თავისი მე-80 გოლი.

მოსკოვის დინამოელებმა დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ ჩაატარეს თავიანთი 1200-ე მატჩი უმაღლეს ლიგაში. ეს საუკეთესო მაჩვენებელია საკავშირო ჩემპიონატებში.

* * *

კოსტრომის „სპარტაკისა“ და ლანჩხუთის „გურიის“ შეხვედრაში (1:1) ლანჩხუთელთაგან გოლი 11-მეტრიანით გაიტანა რ. ჩელებაძემ.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 2 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	23	13	5	5	47—29	31
„ზენიტი“	21	13	3	5	39—25	29
„დინ.“ თბ.	21	13	3	5	29—17	29
„დინ.“ კ.	19	14	0	5	30—14	28
„სპარტ.“	21	13	2	6	43—26	28
„დინ.“ მნ.	21	9	8	4	36—25	26
„დინ.“ მ.	23	9	5	9	36—35	23
„არარატი“	23	8	7	8	31—34	23
ცსკა	22	9	4	9	34—36	22
„ნეფთჩი“	22	9	4	9	33—36	22
„შახტ.“	22	8	6	8	25—26	22
„ტორ.“ მ.	21	6	6	9	18—23	18
„ტორპ.“ ქ.	22	6	6	10	22—29	18
„ფახთაქ.“	23	7	2	14	30—41	16
„კუბანი“	21	6	4	11	24—32	16
„მეტალ.“	23	7	1	15	29—41	15
„ჩერნომ.“	21	4	6	11	31—43	14
„ქაირათი“	23	3	7	13	18—43	13

უახლოესი მატჩები

დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში და ევროპის ქვეყნების წევრ გუნდებს სულ მცირე შესვენების შემდეგ ახალ, მეტად მნიშვნელოვან შეჯიბრებაში უწევთ ჩაბმა: იწყება კონტინენტის 1984 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები.

სწორედ შესარჩევი ციკლის პროგრამით უნდა ეთამაშათ ერთმანეთთან სსრ კავშირისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებს, მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სსრ კავშირისა და პორტუგალიის გუნდები ერთმანეთთან ითამაშებენ გაისად, ამ პერიოდში კი შედგება საკავშირო ჩემპიონატის 2 გამოტოვებული შეხვედრა.

დღეს მოსკოვის სპარტაკელები მიიღებენ კრასნოდარის „კუბანს“, ხოლო ხვალ მოსკოვის არმიელები შინ ეთამაშებიან კიევის „დინამოს“.

5 სექტემბერს ლენინგრადში გაიმართება ახალგაზრდული გუნდების (ასაკი — 21 წლამდე) ევროპის VIII ჩემპიონატის მატჩი სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

თბილისის დინამოელები 8 სექტემბერს შინ მიიღებენ ხარკოვის „მეტალისტს“, ხოლო 11 სექტემბერს, ასევე შინ, დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“.

ქუთაისის ტორპედოელებს 6 და 10 სექტემბერს 2 გასვლითი მატჩი აქვთ მოსკოვში. პირველად ისინი შეხვდებიან „დინამოს“, ხოლო შემდეგ — „სპარტაკს.“

15 სექტემბერს გაიმართება ევროპის საკლუბო გათამაშებათა კალენდარული მატჩები. **თბილისის დინამოელები,** როგორც ცნობილია, თავიანთ მინდორზე ეთამაშებიან იტალიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს — **„ნაპოლის“.**

19 სექტემბერს ქუთაისში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“.

I ლიგა

31 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 30-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ლანჩხუთის „გურია“ სმოლენსკში შეხვდა ადგილობრივ „ისკრას“. თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (კოსტრომა) — ასკ (დონის როსტოვი) 0:2, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „დინამო“ (კიროვი) 1:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „შინნიკი“ (იაროსლავლი) 2:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ (ოდესა) 1:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, ასკ (კიევი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:3, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 3:2, ასკ-„კარპატი“ (ლვოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:1.

პოლონეთი — საფრანგეთი 4:0

სულ ახლახან, ფეხბურთში XII მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები. მაშინ პოლონელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს მეტოქე — 3:2.

ამას წინათ, ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს საფრანგეთში. პოლონელებმა ამჯერად იოლად გაიმარჯვეს — 4:0 (1:0). 2 ბურთი გაიტანა კუპცევიჩმა, თითო — იალოხამ და ბუნცოლმა (11-მეტრიანი).

პოლონეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა ფეხბურთელთა მეტოქეა II შესარჩევ ჯგუფში. პოლონელებს პირველი ოფიციალური შესარჩევი მატჩი ფინეთის გუნდთან აქვთ 8 სექტემბერს მეტოქის მინდორზე.

პირველი შეხვედრები

ჩემპიონთა თასი. ბუქარესტში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის წინასწარი წრის პირველი მატჩი ადგილობრივი „დინამოსა“ და ნორვეგიის „ვალერენგენის“ ფეხბურთელთა შორის.

გაიმარჯვეს დინამოელებმა — 3:1.

თასების მფლობელთა თასი. ამ ტურნირის წინასწარ წრეში პორტუგალიის „ბრაგამ“ თავის მინდორზე პირველი მატჩი მოუგო უელსის „სუონსის“ — 1:0. მაგრამ განმეორებითი შეხვედრა დამთავრდა „სუონსის“ გამარჯვებით — 3:0, უელსელები გავიდნენ გათამაშების მეთექვსმეტედფინალში.

ჩემპიონატები, თასები, ლიგები

ზფრ

ჩემპიონატის პირველ ტურში ვერც ერთმა ფავორიტმა ვერ მიაღწია წარმატებას. „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ სტუმრად ორჯერ დაწინაურდა „ნიურნბერგთან“ (ბურთები გაიტანეს მცველებმა კალცმა და იაკობსმა), მაგრამ მასპინძლებმა გაათანაბრეს ანგარიში — 2:2. „კიოლნმა“ ბრაუნშვაიგში ძლივს მიაღწია ფრეს (2:2) „აინტრახტთან“. „ვერდერს“ ბრემენში უპირატესობა ჰქონდა მიუნხენის „ბაიერნთან“ და გამარჯვებაც მას დარჩა — 1:0. რაინდერსის მიერ ნელა დარტყმული ბურთი ვერ აიღო „ბაიერნის“ ახალმა მეკარე პფაფმა.

სხვა მატჩები: „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „შტუტგარტი“ 1:1, „კაიზერ-სლაუტერნი“ — „ჰერტა“ (დას. ბერლინი) 2:2, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „არმინია“ (ბილეფელდი) 0:1, „კარლსრუე“— „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) 1:0, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „ბოხუმი“ 2:0, „შალკე 04“ (გელზენკირხენი) — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 2:4.

საფრანგეთი

2 ტურის შემდეგ 4-4 ქულით წინ არიან მეორე დივიზიონიდან გადმოსული „ტულუზა“ და „ატად ლავალი“. იმ გუნდებს შორის, რომელთაც 3-3 ქულა მოაგროვეს, არის ბორდოს „ჟირონდაც“. ამ კლუბში საფრანგეთის ნაკრების მოთამაშეებს ტრეზორს, ჟირესს, ჟერარს, ტიგანას, ლაკომბსა და სოლერს დაემატნენ დასავლეთგერმანელი ოსტატები დ. მიულერი და მემერინგი.

შვეიცარია

2 ტურის შემდეგ 4-4 ქულა აქვთ ციურიხის „გრასჰოპერსს“, „ფც ციურიხს, „სენტ-გალენს“, ბერნის „იანგ ბოისსა“ და ჟენევის „სერვეტს“.

ბელგია

ქულათა მაქსიმუმით 2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ბრიუსელის „ანდერლეხტი“ და „ბეერშოტი“.

პოლონეთი

3 ტურის შემდეგ 6 ქულით წინაა ვროცლავის „შლიონსკი“. 4-4 ქულა მოაგროვეს სოსნოვეცის „ზაგლებიემ“, მილეცის „სტალმა“ და ლოძის „ვიძევმა“.

გდრ

1 ტურში იენის „კარლ ცაისმა“ სტუმრად სძლია ბელენის „ხემის“ — 2:0. გოლები გაიტანეს შნუპჰაზემ და რააბმა. ბერლინის „დინამოს“ შინ სრული უპირატესობა ჰქონდა ცვიკაუს „ზაქსენრინგთან“ — 3:0.

ბულგარეთი

ჩემპიონატი დაიწყო ფავორიტების წარმატებით: ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ ტირნოვოში შეხვდა „ტირს“ და გაიმარჯვა —1:0, „ლევსკი-სპარტაკმა“ ასეთივე ანგარიშით სტუმრად დაამარცხა „ჰასკოვო“

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„მადნეული“ (ბოლნისი) —„თორი“ (ბორჯომი) 3:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

გოლები: აიდინოვი, ისიანი, უგულავა.

ერთმანეთთან ატეხილი ჩხუბისთვის მინდვრიდან გააძევეს ბოლნისელი ბ. უგულავა და ბორჯომელი ვ. ლურსმანაშვილი.

„ალაზანი“ (გურჯაანი)—ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:2. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).

გოლები: ქადაგიშვილი — 2, ზაალიშვილი („ალაზანი“), ელიაშვილი, შიოლაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

მინდვრიდან გააძევეს გურჯაანელი მ. შიოლაშვილი, ხოლო მისი თანაგუნდელი გ. ნიჟარაძე გააფრთხილეს (წლეულს მეორედ). ასევე გააფრთხილეს თბილისელი პ. კირთაძე.

„აბული“ (ახალქალაქი) —„ივერია“ (ხაშური) 0:2. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი).

ორივე ბურთი გაიტანა ოსაძემ.

„ავტომობილისტი“ (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი).

ბურთი გაიტანა ოჩარაშვილმა.

„არმაზი“ (მცხეთა) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 3:0. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).

სამივე ბურთი გაიტანა სოლოღაშვილმა.

„ალგეთი“ (მარნეული) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).

გოლები: თ. ქუჩუნაშვილი, ბაზაზაშვილი („ალგეთი“), ქოქოევი („სპარტაკი“).

გააფრთხილეს მარნეულელი ხ. ბაირამოვი, აგრეთვე, ცხინვალელები მ. დურგლიშვილი და ვ. ხუგაევი.

„კახეთი“ (თელავი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: ლომიძე, ბალათრიშვილი.

„ავიატორი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი) 3:1. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი).

გოლები: ქობულაშვილი, ვასაძე, ჯოჯუა („ავიატორი“), ასლანიანი (ასკ).

„ქართლი“ (გორის რაიონი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:2. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

დასავლეთი ზონა

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „მექაღალდე“ (ზუგდიდი) 2:2. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).

გოლები: ალავიძე, გოგოლაძე („ჩიხურა“), ჰოხონელიძე, ჰყონია („მექაღალდე“).

„მზიური“ (გალი) — „სულორი“ (ვანი) 3:2. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

გააფრთხილეს გალელი ზ. კვეკვესკირი.

„იმერეთი“ (წულუკიძე) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი ზ. ზუმბაძე (რუსთავი).

„კოლხეთი“ (ხობი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 4:1. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:2. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).

„შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

გოლები: კიუტი („შახტიორი“), ყურაშვილი („ეგრისი“).

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი ზ. ზუმბაძე (რუსთავი).

გოლები: წიქორიძე, კერესელიძე („სამგურალი“), შეროზია („სქური“).

საქართველოს პირველობა

„გიგანტი“ (ლაითური) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:2. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

გოლები: ხანჩალიანი, ბაქანიძე („გიგანტი“), ციმაკურიძე, ახალაია („სამეგრელო“).

მინდვრიდან გააძევეს ლაითურელი ლ. გოთუა.

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).

ორივე ბურთი გაიტანა სევასტოპულომ.

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ზარზმა“ (ადიგენი) 3:0, „განთიადი“ (კასპი) — „ქიზიყი“ (წნორი) 3:2, „მაშავერა“ (დმანისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 3:1, „ზარზმა“ (ადიგენი) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:1.

მინდვრიდან გააძევეს ახმეტელი ზ. გომელაური, ხოლო მისი თანაგუნდელები ზ. თედიშვილი და ბ. ავთანდილოვი გააფრთხილეს. ამას გარდა, გააფრთხილეს ახალციხელი თ. სამსონაძე.

დასავლეთი ზონა

„ბზიფი“ (გუდაუთა) — „რაჭა“ (ამბროლაური) 9:1, „ავიატორი“ (სოხუმი) — „დინამო“ (გაგრა) 2:1, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „გეოლოგი“ (სოხუმი) 2:1, „ავტომობილისტი“ (აბაშა) — „ხარუჯა“ (მახარაძე) 1:2, „მეხალიჩე“ (ცხაკაია) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 3:5, „კოლხიდმშენი“ (ფოთი) — „ხვამლი“ (ცაგერი) 2:2, „ოჯალეში“ (ბანძა) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 2:1.

გააფრთხილეს ფოთელი დ. ძახარაძე (მეორედ) და ცაგერელი გ. ჯანელიძე (მესამედ).

ზონალური პირველობა

აღმოსავლეთი ზონა

„შრომითი რეზერვები“ (ახმეტა) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 4:2, „შირაქი“ (წითელი წყარო)— „ფარავანა“ (ბოგდანოვკა) 7:2, „მევენახე“ (სართიჭალა) —„კოლმეურნე“ (ვარკეთილი) 4:2.

დასავლეთი ზონა

„სალიბო“ (ახუთი) —„ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) 0:0, „მერცხალი“ (ნაგვაზაო) — „მევენახე“ (ვანი) 0:0, „წინსვლა“ (გეგუთი)— „კოლმეურნე“ (დვაბზუ) 1:2, „სუბტროპიკი“ (ზედა ეწერი) — „კოლმეურნე“ (კახათი) 2:1.

გააფრთხილეს „სუბტროპიკის“ ფეხბურთელები რ. მაქაცარია და ჯ. შონია.

გათამაშების ცხრილები

აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 1 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტ.“ ზ.	23	18	2	3	60—23	38
„ავტომ.“	24	16	4	4	33—16	36
„ავიატ.“	24	13	6	5	59—20	32
„ქართლი“	24	13	6	5	57—38	32
„მეტ.“ რ.	24	12	7	5	52—26	31
„მადნ.“	24	11	6	7	41—31	28
„სპ.“ თბ.	23	10	7	6	32—28	27
„ივერია“	24	9	7	8	41—45	25
„ალაზ.“	24	9	5	10	33—35	23
„კახეთი“	24	10	3	11	30—42	23
ფიზკ. ინ.	24	8	6	10	39—30	22
„დურუჯი“	24	9	3	12	36—51	21
ასკ თბ.	23	7	6	10	31—38	20
„ჰერეთი“	24	9	2	13	43—53	20
„თორი“	24	7	6	11	33—47	20
„სპ.“ ცხ.	24	7	5	12	36—40	19
პოლ. ინ.	24	6	7	11	20—31	19
„ალგეთი“	23	6	2	15	37—54	14
„აბული“	24	3	7	14	23—61	13
„არმაზი“	22	4	3	15	21—38	11

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხ.“	22	16	4	2	52—18	36
„ამირანი“	24	13	6	5	48—20	32
„სულ.“	24	11	7	6	38—23	29
„სამეგრ.“	24	10	8	6	44—37	28
„მაღარ.“	24	10	7	7	28—23	27
„დინამო“	24	11	4	9	45—36	26
„კოლხ.“	24	10	6	8	44—35	26
„სალხ.“	24	9	7	8	39—45	25
„შუქურა“	24	9	5	10	34—35	23
„მზიური“	24	9	5	10	32—33	23
„ეგრისი“	24	8	7	9	31—39	23
„სამგ.“	24	7	8	9	31—38	22
„ენერგ.“	24	8	5	11	35—39	21
„სქური“	24	7	7	10	32—37	21
„გიგანტი“	24	4	13	7	23—30	21
„ჩიხურა“	24	5	11	8	22—32	21
„იმერ.“	24	7	6	11	38—44	20
„მექაღ.“	23	7	5	11	26—43	19
„შახტ.“	24	6	6	12	23—40	18
„ბახმ“	23	6	3	14	25—33	15

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

ზაფხულის ბოლო დღე.

ვ. გენგიურის ფოტო.

წიგნის თარო

სიყვარულმა დააწერინა

ამ წიგნს („საბჭოთა საქართველო", ტირაჟი 5000 ეგზ., გვ. 148) ყველა სიამოვნებით წაიკითხავს — იგი ხომ ძირითადად ქართველი მოჭადრაკე ქალების თავმოსაწონ წარმატებებზე მოგვითხრობს.

წიგნი შეეხება მოჭადრაკე ვაჟებთან ქალების შეხვედრების ისტორიას. ლიტერატორი გ. მახარაძე რამდენიმე წელია დიდი რუდუნებით და მოთმინებით აგროვებდა ამ შეხვედრების ამსახველ ფაქტებს.

რა თქმა უნდა, შორეულ წარსულშიც იყვნენ ძლიერი მოჭადრაკე ქალები, მაგრამ მათ შესახებ მხოლოდ შინაურებმა იცოდნენ. ამიტომ მათ საჭადრაკო რაინდობის ამბები თანამედროვეთა მოგონებებმა შემოგვინახეს. საჯაროდ მოასპარეზე ქალებს მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვხვდებით. ქალთა ნამდვილი საჭადრაკო ემანსიპაცია კი XX საუკუნეში დაიწყო და იგი მსოფლიო ჩემპიონების ვ. მენჩიკის, ნ. გაფრინდაშვილისა და მ. ჩიბურდანიძის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული.

გ მახარაძე

მამაკაცთა პირისპირ

გ. მახარაძეს უხვად აქვს მოტანილი ცნობილი საბჭოთა და უცხოელი მოჭადრაკე ქალების პაექრობის ეპიზოდები სხვადასხვა რანგის ვაჟთა ტურნირებიდან. მოჰყავს აგრეთვე საინტერესო პარტიები და ფრაგმენტები, იშვიათი ფოტოსურათები.

წიგნის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჩვენს დროში საგრძნობლად ამაღლდა მოჭადრაკე ქალების თამაშის კლასი, შემოქმედებითი ძალა. ამის ნათელი დადასტურებაა ნ. გაფრინდაშვილისათვის ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის ტიტულის მიკუთვნება და მ. ჩიბურდანიძის ბოლოდროინდელი ჭიდილი დიდოსტატი ვაჟების მხარდამხარ.

გულდასაწყვეტია, რომ წიგნი მცირე ტირაჟით დაისტამბა. ასეთი ნაშრომი ყველასათვის, ვისაც ჭადრაკი უყვარს, ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ურიგო არ იქნება, მისი რუსულად გამოცემაც — ჩვენშიც და სხვაგანაც მას უთუოდ ბევრი მკითხველი ეყოლება.

თ. გიორგაძე.

● ჭადრაკი

ახალი კოეფიციენტები

საჭადრაკო ჟურნალისტების საერთაშორისო ასოციაციის ბიულეტენმა „ჭადრაკის სიახლენი" გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების ახალი ინდივიდუალური კოეფიციენტები (რეიტინგი). ეს კოეფიციენტები გამოიანგარიშა ფიდე-ს საკლასიფიკაციო კომისიამ 1982 წლის 1 ივლისამდე გამართული ტურნირების შედეგების მიხედვით.

გთავაზობთ საბჭოთა მოჭადრაკეების ადგილებს უძლიერესთა სიაში (ვაჟების პირველი ოცეული, ქალების — ათეული) და მათ კოეფიციენტებს:

1. ა. კარპოვი — 2700, 2. გ. კასპაროვი — 2675, 6. ა. ბელიავსკი — 2620, 7-9. ლ. ფსახისი — 2615, 10-13. ლ. პოლუგაევსკი, მ. ტალი, ბ. სპასკი — 2610, 14. ტ. პეტროსიანი — 2605, 20. ო. რომანიშინი — 2585.

1. მ. ჩიბურდანიძე — 2385, 2. ნ. ალექსანდრია—2370, 4-5. ნ. გაფრინდაშვილი, ნ. იოსელიანი—2325, 6. ე. ახმილოვსკაია —2310, 7. მ. ლიტინსკაია — 2275.

საკავშირო ოლიმპიური ნაკრები

როგორც ცნობილია, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, რომ შემდგომ ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობის უფლება არა აქვთ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც გამოდიოდნენ მსოფლიოს XII ჩემპიონატის შესარჩევ და ფინალურ თამაშებში. ეს შეზღუდვა ვრცელდება ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებზე.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები დაკომპლექტდა აღნიშნულ შეზღუდვათა გათვალისწინებით. ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელია ვ. სალკოვი. გუნდის შემადგენლობაში არიან ვ. ელინსკასი, ა. სოროკალეტი, ს. პრიგოდა, ს. ვედენეევი, მ. ბელიალოვი, ვ. გლუშაკოვი, ა. პლოშნიკი, ს. შიხლაროვი, ვ. ქურავჩაკი, ა. ხაჩატრიანი, ა. ხუდიევი, ა. ანდრიუშჩენკო, ს. გოცმანოვი. ნაკრებშია, აგრეთვე, თბილისის „დინამოს" მცველი დ. მუჯირი.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მორიგი, 35-ე ტირაჟებისა, რომლებიც 28 აგვისტოს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (4 ბარათი) მოგება 8002 მანეთია, ოთხისთვის (502 ბარათი) — 77, სამისთვის (11800 ბარათი) —5.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (19 ბარათი) მოგება 7422 მანეთია, ოთხისთვის (2073 ბარათი) —106, სამისთვის (56753 ბარათი) —6.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 8 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით.

● ფრენბურთი

ფინალში—ვადამდე

ლენინგრადის სპორტის სასახლეში მიმდინარე ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მეორე ტურის ცენტრალური მატჩები იყო იაპონია — კუბისა და სსრკ-I — ჩეხოსლოვაკიის კოლექტივთა შეხვედრები. პირველ მათგანში დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს იაპონელებმა —3:2. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური ჩემპიონების წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკიელებმა დიდი ალმავლობით ითამაშეს, საბჭოთა ფრენბურთელებმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს — 3:0.

მესამე ტურის თამაშების შედეგების მიუხედავად I-IV ადგილებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს პოლონეთის, იაპონიისა და სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა, რომლებმაც ორ-ორი გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში. მეოთხე ფინალისტს ჩეხოსლოვაკიისა და ლენინგრადის ნაკრების მატჩი გაარკვევს (საკდესი).

მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ...

ვ. კუციას ნახატი.

ნარევი

რატომ დაიწუნეს?

დანიელმა მოკრივემ ლარს კრისტიანსენმა 38 მატჩი გამართა და ყველა მოიგო. ამის მიუხედავად, იგი უკვე ორჯერ დაიწუნა საექიმო კომისიამ და... კრისტიანსენი ჯარში არ გაიწვიეს. დაწუნების მიზეზი „ფიზიკური ნაკლი" იყო.

ამასთან დაკავშირებით კოპენჰაგენის გაზეთი „პოლიტიკენი" ირონიულად წერს:

— ეტყობა, ჩვენს სამხედრო ექიმებს სურთ მთელ მსოფლიოს წარმოდგენა შეუქმნან, რომ დანიის არმია მხოლოდ სუპერმენებისაგან შედგება და ჩვეულებრივ ადამიანს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მასში მოხვედრა.

ჩემპიონმა იეშმაკა

ამერიკელი მოკრივე თომას ჰარისი მსოფლიო ჩემპიონ მარვინ ჰაგლერთან შესახვედრად ემზადებოდა. ამ მატჩს უნდა გამოერკვია, ვინ იყო უძლიერესი საშუალო წონაში. პრეტენდენტმა თავის სპარინგ-პარტნიორს 1000 დოლარი გადაუხადა, იმისათვის, რომ მას თმა გადაეპარსა და... ჰაგლერს დამსგავსებოდა. სპარინგ-პარტნიორი ასეც მოიქცა, მაგრამ ასეთ ექსპერიმენტს შედეგი არ მოჰყოლია. საქმე ის არის, რომ ჩემპიონმა ყველაფერი შეიტყო და... პარიკი გაიკეთა.

განცხადებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

4-5 სექტემბერს

„განთიადის" რესპუბლიკური საბჭო აწყობს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ

საოჯახო სპარტაკიადას

სპარტაკიადის საზეიმო გახსნა და შეჯიბრებები გაიმართება თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" სპორტკლუბ „ივერიის" სტადიონზე.

დასაწყისი 10 საათზე.

●

ნსს „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპორტული სკოლა.

აცხადებს

1970-1973 წლებში დაბადებული ბიჭების მიღებას 1982-83 სასწავლო წლისათვის.

კონკურსი ჩატარდება 6-20 სექტემბერს კიროვის სახელობის პარკის სპორტული თამაშების მოედანზე, 15-დან 19 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ სკოლის დირექციას. მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 8, „ბურევესტნიკის" სპორტული კომპლექსი.

●

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპორტული სკოლა

აცხადებს

7-დან 12 წლამდე ბავშვების მიღებას 1982-83 სასწავლო წლისათვის.

მსურველებს ვთხოვთ გამოცხადდნენ მისამართით: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 8, „ბურევესტნიკის" სპორტული კომპლექსი.

●

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტსკოლა აცხადებს 1969, 1970, 1971 წლებში დაბადებული ბიჭების მიღებას **კრივის სექციაში.**

მსურველებს ვთხოვთ გამოცხადდნენ მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 37 (კიროვის პარკი).

●

დინამოელები იწვევენ

თბილისის „დინამოს" ბავშვთა ფეხბურთის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლა აცხადებს ნორჩთა შერჩევა-მიღებას.

1970-74 წლებში დაბადებული ბავშვები უნდა გამოცხადდნენ ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე, სადაც ყოველ კვირა დღეს, დილის 9 საათიდან, იწარმოებს სკოლის ჯგუფებში ჩარიცხვა. მიმღებ კომისიაში არიან სკოლაში მომუშავე კვალიფიციური მწვრთნელები, ვეტერან-ფეხბურთელები.

●

საქართველოს სპორტკომიტეტის ცენტრალური საცხენოსნო-სპორტული ბაზა

აცხადებს

1970-1972 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას ცხენოსნობის სპორტულ ჯგუფში ჩასარიცხად.

მეცადინეობა დაიწყება ა/წ 20 სექტემბრიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება ა/წ 15 სექტემბრამდე დირექციაში.

მისამართი: ქ. თბილისი, ა. ანტონოვის ქ. № 10 (იპოდრომი) ტელ. 37-00-36

ცენტრალური საცხენოსნო სპორტული ბაზა.

რედაქტორი ა. ბასილაია

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435
უე 08431